პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ.პ.ბ.კ-ის და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 247 (9407) | ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობა ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის შთამაგონებელ სიტყვას.

ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები მთელი საბჭოთა ხალხის ძალებს რაზმავენ ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დიდება კომუნიზმის გენიალურ ხელოვანს, ჩვენს დიდ ბელადსა და ბრძენ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობა

ყრილობის დღიური

14 ოქტომბრის საღამოს სხდომა

14 ოქტომბერს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის საბოლოო სხდომა.

საღამოს 9 საათია. გამოჩნდნენ ამხანაგი სტალინი, მისი უახლოესი თანამებრძოლნი — ამხანაგები მოლოტოვი, მალენკოვი, ვოროშილოვი, ბულგანინი, ბერია, კაგანოვიჩი, ხრუშჩოვი, ანდრეევი, მიკოიანი, კოსიგინი, შვერნიკი, ყრილობის პრეზიდიუმის წევრები. დელეგატები და სტუმრები ძმუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში იწყება ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. გაისმის შეძახილები „დიდება ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს ვაშა!“. შრომელთა დიდი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გულითად გრძნობებს ერთსულოვნად გამოხატავენ როგორც ყრილობის დელეგატები — საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ისე უცხო ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ყრილობას ესწრებიან.

თავმჯდომარე ამხ. **ვოროშილოვი** სხდომას გახსნილად აცხადებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნების შედეგების **კენჭისყრის** **შედეგებს** ამხ. **ლესლი მორისს,** რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან.

იყო აქ და ისმენდე საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის მიღწევებსა და დიად გეგმებს,— ამბობს იგი, — ხედავდე შენს გარშემო შრომის გმირებს, სამამულო ომის გმირებს, თვალნათლივ ხედავდე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, რაზედაც ასე დიდხანს ოცნებობდა კაცობრიობა, — ეს იმას ნიშნავს, რომ ხედავდე არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე ყველა ხალხის მომავალს.

მსოფლიოში არავინ ისე ცხადად არ უჩვენებს ტანჯულ კაცობრიობას მტკიცე მშვიდობის, ეროვნული თავისუფლებისა და სახალხო დემოკრატიის გზას, როგორც გენიალური იოსებ სტალინი. ვერავითარი ცრუ პროპაგანდა ვერ ჩაახშობს კანადელი ხალხის მხურვალე მისწრაფებას გაიგოს, როგორ ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, რა გზით მიდის იგი. ჩვენი ამოცანაა არავის მივცეთ ნება, რომ კანადელი ხალხი დაიბრმაონ ომის პროპაგანდით და სიცრუის ქსელში გააბან იგი.

ჩვენ აღარ გვსურს გვქონდეს სარეკორდო ციფრები უმუშევრობის, ფასების ზრდის, გადასახადების ზრდის ან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანისათვის ჩვენი ქვეყნიდან ნედლეულის მიწოდების დარგში, ამბობს ამხ. ლესლი მორისი. ჩვენ გვსურს მივაღწიოთ მჭიდრო მეგობრობასა და ფართო ვაჭრობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და სახალხო ჩინეთთან.

ამხ. ლესლი მორისს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. **ა. გოპალანის** გამოსვლას ტრიბუნაზე. იგი ყველა ინდოელი კომუნისტის, ინდოეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახელით მხურვალე, ძმურ, რევოლუციურ სალამს უძღვნის ყრილობას.

საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები, სახალხო ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი, აღნიშნავს ამხ. გოპალანი, საოცარი კონტრასტია იმ პირობებთან შედარებით, რაც არსებობს ინდოეთში, სადაც გამეფებულია შიმშილი, უმუშევრობა, განუწყვეტელ მატულობს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები, იზრდება გადასახადები და ხარჯები სამხედრო-პოლიციური საჭიროებისათვის, სადაც ზღუდავენ სამოქალაქო თავისუფლებებს.

დღეს ინდოეთის ხალხს შესაძლებლობა აქვს უფრო ცხადად, ვიდრე ოდესმე წინათ, დაინახოს, ვინ არიან მისი ნამდვილი მეგობრები. სწორედ საბჭოთა კავშირმა და სახალხო ჩინეთმა შესთავაზეს დახმარება შიმშილით ტანჯულ ინდოელ ხალხს, მაშინ როცა ამერიკელი იმპერიალისტები ინდოეთში ასაღებენ დამპალ ხორბალსა და ჩაწოლილ ბამბეულს.

დემოკრატიული ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, ინდოეთის ხალხს მიაჩნია ერთგულ და უანგარო მეგობრად. იგი ხედავს მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სულ უფრო მზარდ ძალას. იგი აგრეთვე მთელი სიცხადით ხედავს, რომ იმპერიალიზმის ბანაკს შეუძლია შესთავაზოს მას მხოლოდ მზარდი ეკონომიკური კრიზისი, ცხოვრების დონის დაცემა, უმუშევრობა, ჩაგვრა, ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა, პოლიციური რეჟიმი და ომი.

იმპერიალისტებს სურთ ომის ბანაკში ჩაითრიონ ინდოეთი, მაგრამ ინდოეთის ხალხი არასოდეს არ დაუშვებს ამას. იგი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს ყველას, ვინც ომს აჩაღებს. ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, აცხადებს ორატორი, რომ ინდოეთის ხალხი საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან გაერთიანდეს მტკიცე მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

დარბაზობა კრემლში მოძმე პარტიების წარმომადგენელთა პატივსაცემად

15 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კრემლში სადილი გამართა XIX პარტიულ ყრილობაზე კომუნისტური და სხვა მოძმე პარტიების წარმომადგენელთა პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყო მოძმე პარტიების ყველა წარმომადგენელი. იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები.

დარბაზობამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. დარბაზობის დროს გაიმართა დიდი კონცერტი.

(საკდესი).

საბჭოთა ადამიანები უდიდესი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას

ბრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის— თბილისის საწარმოებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. გუშინ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თბილისის მშრომელებმა გულდასმით გაიცნეს დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა, წარმოთქმული პარტიის XIX ყრილობაზე. ამხანაგ სტალინის სიტყვა საბჭოთა ადამიანებისათვის წარმოადგენს ახალი ენერგიის წყაროს, მშვიდობისადმი მათი საერთო მისწრაფების გამოხატულებას, რაზმავს მათ კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მისაღწევად.

დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივები, აღფრთოვანებულნი დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვით, დადგენენ სტახანოვურ ვახტზე და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

მძლავრი პატრიოტული აღმავლობაა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატმა ე. ბერენდეევამ მქსოველებს გააცნო ამხანაგ სტალინის გამოსვლა პარტიის XIX ყრილობაზე.

— ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიტყვა, — თქვა მან, — ბრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამაა. ბელადის გამოსვლა საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებს ახალი შრომითი წარმატებებისაკენ.

სტახანოველმა მქსოველმა, ოთხდაზგოსანმა ეკატერინე მეხრაძემ საუბრის დროს განაცხადა:

— ამხანაგ სტალინის სიტყვა, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობა მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა მშრომელი, ჩვენი ყოველდღიური ბრძოლისა და შრომის შთამაგონებელი სახელმძღვანელოა. ბელადის სიტყვის საპასუხოდ ფეიქრები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მეტ მაღალხარისხოვან პროდუქციას მივცემთ ქვეყანას. ვკისრულობ ოქტომბრის დავალება 125 პროცენტით შევასრულო და გეგმის გადამეტებით ასობით მეტრი ქსოვილი გამოვუშვა, ამასთან პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გავადიდო 6 პროცენტით.

მოწინავე მქსოველმა ე. ურთაშვილმა, რომელიც ოთხ დაზგაზე მუშაობს, პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლის საპასუხოდ იკისრა დადგეს სტახანოვურ ვახტზე და ოქტომბრის გეგმა 123 პროცენტით შეასრულოს. მან თქვა:

— მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ამხანაგ სტალინს საბჭოთა ხალხი მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ. დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვაში მოცემული ბრძნული მითითებანი აღგვაფრთოვანებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო აქტიური ბრძოლა ვავაჩაღოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. ყრილობის აღსანიშნავად სექტემბრის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გავანაღდე. ვკისრულობ ოქტომბერში გეგმა 123 პროცენტით შევასრულო და გაუზარდო პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება.

პარტიის ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის სიტყვა ფაბრიკის კოლექტივს ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს.

საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად

ქუთაისი. (ტელეფონით. საკ. კორ.). ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებისა და ახალმშენებლობათა კოლექტივები უდიდესი ყურადღებით ეცნობიან და სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს. მაუდის ფაბრიკის 35 აგიტატორი სისტემატურად ესაუბრება მუშებს დიადი პარტიის ისტორიულ ყრილობაზე. სტახანოველმა მქსოველებმა მერი მოდებაძემ და ნათელა კუპრაშვილმა პირობა დადეს უფრო მეტი ენერგიით იმუშაონ საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად. ფეიქარი ქალები პირნათლად ასრულებენ თავიანთ სიტყვას. 8 ოქტომბერს მერი მოდებაძემ გეგმა 141,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნათელა კუპრაშვილმა — 123 პროცენტით.

პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებში თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ ცნობილი სტახანოველი მჭედლები დ. ანასაშვილი და ს. გელენიძე. თვითეული მათგანი ამ დღეებში ნორმებს 460 პროცენტით ასრულებს.

მარგანეცი ნოემბრის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ლენინ—სტალინის მშობლიური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად მაღალნაყოფიერად მუშაობს დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნად გამოვიდა ჭიათურაში.

მაღაროს სახელოვანმა კოლექტივმა ცხრა თვეში ათი თვის გეგმა შეასრულა და ახლა მარგანეცს ნოემბრის ანგარიშში იძლევა.

მაღაროელები მაღალნაყოფიერად მუშაობენ ოქტომბერში. ყრილობის მასალების გაცნობამ მაღაროელების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. დადგა რა ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, ახლა ყველა უბანი დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი, მესამე და მეხუთე უბნების კოლექტივები. სტახანოველები კ. ღავთაძე, ა. იაკობიძე, ი. გრძელიშვილი, ი. ქართველიშვილი, ი. აბრამიშვილი, შ. დარბაიძე, ლ. ლუტიძე, გ. კუპატაძე, ე. ლომიძე და სხვები სტახანოვურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ გეგმებს 160-200 პროცენტით ასრულებენ.

ყრილობის დამთავრების აღსანიშნავად

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მშრომელებმა დიდი აღტაცებით შეიტყვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დამთავრების და ამ ყრილობაზე ამხანაგ სტალინის გამოსვლის ამბავი. ისინი ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შემდგომი წარმატებების მოსაპოვებლად.

ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებში გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და 9 თვის გეგმა 10 სექტემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 95 ათასი მანეთის პროდუქცია; დროულად დაამზადა სახარატო ჩარხები კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის.

...სამჭედლო საამქროში აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ სიტყვა ითხოვა მჭედელმა მ. ყველაშვილმა. მან განაცხადა: ამხანაგ სტალინის მიერ დასახული პროგრამული დებულებანი კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობების შესახებ თვითეულ მშრომელს გვავალებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მანქანა-დანადგარები, გავუმჯობესოთ დეტალების დამუშავების ტექნოლოგია, ყოველდღიურად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება. მე პირადად უკვე შევასრულე ხუთწლიანი გეგმა და პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით გავანაღდო.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, — განაცხადა საიარაღო საამქროს უფროსმა გ. შახბაზოვმა, — რომ ჩვენ მიერ გამოშვებული სახარატო ჩარხის ყველა ნაწილი ჩვენს ქარხანაშივე მზადდებოდეს. ამჟამად ვმუშაობთ ჩარხის ერთერთი მთავარი კვანძის— თვითდამცენტრებელი მასრის ათვისებაზე. პირობას ვიძლევით, რომ ოქტომბრის ბოლოსათვის მთლიანად ავითვისებთ ამ კვანძის დამუშავებას და ნოემბრის პირველი რიცხვებიდან წარმოება შეუდგება მის მასობრივ გამოშვებას. კვანძის ცალკეული ნაწილების დამუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხარატები გ. კობახიძე, ე. სუნნიაევი, ი. სარქისოვი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 300 პროცენტით ასრულებენ.

პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური საწარმოო გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის. ამ პირობის წარმატებით განაღდებისათვის თავდადებით მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებებს 250 პროცენტით ასრულებენ ზეინკლები ო. გოგიჩაიშვილი, მ. სიკოცვი, მწრთობელი ბ. თბილაშვილი, მსხმელები ვ. ბაკაშვილი, რ. ასაკაშვილი და ხარატი ო. სამანაშვილი.

კოლმეურნეთა პაჭრიოტული საქმეები

ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით თბილისის გარეუბნის რაონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ტემპს.

მეძროხეობის ფერმის მოწინავე მუშაკი სოფიო ციხაძე ყრილობის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგა და პირობა დადო წელს მისთვის მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ძროხაზე მიიღოს 2.200 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.500 ლიტრისა. მას თითო ძროხაზე უკვე მიღებული აქვს 1.700 ლიტრზე მეტი რძე. გადიდებული ვალდებულება იკისრა აგრეთვე მწველავმა ანასტასია ფეოდოროვამ.

— ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის, არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ლენინ — სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულება, — განაცხადა კოლმეურნე ო. ქაჯაიამ. — ფერმაში ძროხის წლიური წველადობის გეგმა გადაჭარბებით მაქვს შესრულებული. პარტიის XIX ყრილობის დამთავრების აღსანიშნავად ვკისრულობ თვითეულ ძროხაზე კოლმეურნეობას დამატებით 500-მდე ლიტრი რძე მივცე.

კოლმეურნეებმა ფერმებისათვის უხვად დააგროვეს საკვები, აქედან 1.500 ტონა მარტო თივა. აგებენ ბინას 3.000 ფრთა ტევადობის ფრინველისათვის, აძლიერებენ ხორბლის თესვას, რაც ნაკისრი ვალდებულების მიხედვით მალე დამთავრდება.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩაბარების თითქმის ყველა დავალება კოლმეურნეობამ ვადამდე ვადაჭარბებით შეასრულა.

მოსკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მეოთხე წლისთავის დღეს ნება მიბოძეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი კორეელი ხალხის სახელით მხურვალე მადლობა გიძღვნათ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, კორეელი ხალხის განმათავისუფლებელსა და საუკეთესო მეგობარს და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობასა და მთელ საბჭოთა ხალხს.

დღეს 4 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იცნო სსრ კავშირის მთავრობამ, რომლის შეიარაღებულმა ძალებმა კორეელი ხალხი გაათავისუფლეს იაპონელი იმპერიალისტების უღლისაგან და ამით საშუალება მისცეს კორეელ ხალხს შეექმნა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო. მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდი საბჭოთა კავშირი განუხრელად უწევდა უანგარო დახმარებასა და მეგობრულ მხარდაჭერას კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. მეგობრული ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის კიდევ უფრო მტკიცდება ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ კორეელი ხალხის გაფთრებულ ბრძოლაში თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, კორეელი ხალხი აცხადებს, რომ მზად არის კვლავაც ყველა ღონისძიებით განავითაროს და განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის.

კორეელ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას, მას ესმის, რომ მხოლოდ დიდი საბჭოთა კავშირის ძმური და უანგარო დახმარებით არის შესაძლებელი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი არსებობა და აყვავება.

გაუმარჯოს მარადიულ ურღვევ მეგობრობას კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის!

დიდება დიდ საბჭოთა კავშირს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე

კიმ ირ სენი.

1952 წ. 10 ოქტომბერი.

ჟ. ფხენიანი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ კიმ ირ სენს

ფხენიანი

გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარეო, მიიღოთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი მადლობა შეგობრული მოლოცვისა და სურვილებისათვის, რაც თქვენ გამოთქვით კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მეოთხე წლისთავის გამო.

კორეელ ხალხს, რომელიც მამაცურად იცავს თავის ეროვნულ უფლებებს, ვუსურვებ წარმატებებს გმირულ ბრძოლაში თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ი. სტალინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ყრილობის დღიური

14 ოქტომბრის საღამოს სხდომა

(დასასრული)

ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების ხანგრძლივი ტაშის გრიალში ამხ. გოპალანმა გამოაცხადა უსურვა ინდოელი და საბჭოთა ხალხების ერთიანობას, მსოფლიოს ყველა მშრომელთა ერთიანობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ინდოეთის კომპარტიის დელეგატმა დაამთავრა თავისი სიტყვა და აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით თავი დაუკრა ჯერ დარბაზს, შემდეგ კი პრეზიდიუმს და დამსწრეთა ტაშის გრიალში ჩამოვიდა ტრიბუნიდან. დარბაზში ერთ წამს სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარე აცხადებს:

— სიტყვა ეძლევა ამხანაგ სტალინს.

დიდი ბელადი წამოდგა და მტკიცე, დინჯი ნაბიჯით გაემართა ტრიბუნისაკენ. მას ძლიერი ოვაციით შეხვდნენ. დარბაზი ფეხზე დგება, კრემლის სასახლის კედლებს აზანზარებს ძლიერი „ვაშა“. გაისმის მისალმებანი სხვადასხვა ენებზე. ყველაფერი, რითაც კი აღსავსეა საბჭოთა ადამიანის გული, ყველაფერი, რაც კი ყველაზე ძვირფასი მოეპოვება კომუნისტს, ჩაქსოვილია ამ ოვაციაში, რომელიც პარტიის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს თავისი ბელადისადმი. გადის წუთი, მეორე, მესამე... ოვაცია, ზვავივით სულ უფრო და უფრო ძლიერდება. იგი მხოლოდ მაშინ წყდება, როცა, ბოლოს, სძლევს სურვილი — მალე გაიგონონ სტალინის სიტყვა...

ამხანაგი სტალინი თავისი სიტყვის დასაწყისში ყრილობის სახელით მადლობას უძღვნის ყველა მოძმე პარტიას, რომელთა წარმომადგენლებმაც პატივი დასდეს XIX ყრილობას თავისი დასწრებით, ან რომლებმაც გამოუგზავნეს ყრილობას მისასალმებელი მიმართვები; დიდი ბელადი მადლობას უძღვნის მათ ძმური მისალმებისა და ნდობისათვის, რომელიც ნიშნავს მზადყოფნას მხარი დაუჭიროონ ჩვენს პარტიას მის ბრძოლაში ხალხთა ნათელი მომავლისათვის, მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის... ბელადის ამ სიტყვების პასუხად კრემლის ვეებერთელა დარბაზის. ყველა კუთხეში გაისმის დამსწრეთა მქუხარე ტაში.

დიდი ბელადი ამბობს, რომ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ, რაკი ჩვენი პარტია მძლავრი ძალა გახდა, მას აღარ სჭირდება საზღვარგარეთელი მოძმე პარტიების, მოძმე ხალხების მხარდაჭერა; მხარდაჭერა, რომლის თავისებურება ის არის, რომ იგი უერთდება ყველა ხალხის ინტერესებს.

კვლავ გრიალებს ტაში. — ამხანაგ სტალინს მოჰყავს მაგალითი ძმური მხარდაჭერისა, რომელიც უერთდება საფრანგეთისა და იტალიის მშრომელთა ინტერესებს, როცა ამხ. ტორეზმა და ამხ. ტოლიატიმ განაცხადეს, რომ მათი ხალხები საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ არ იომებენ.

ყველა, ვინც დარბაზში იმყოფება, სულგანაბული ისმენს სტალინის ყოველ სიტყვას, ღრმად და გულწრფელად განიცდის მას. ბელადის სიტყვებით გამოწვეული ძლიერი გრძნობა, ფიქრი წამდაუწუმ იჩენს თავს ძლიერი ტაშის გრიალით. აი ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ ჩვენი პარტია ვალში არ უნდა დარჩეს მოძმე კომპარტიების წინაშე. მას შემდეგ, რაც 1917 წლის ოქტომბერში ჩვენმა პარტიამ ხელში აიღო ძალაუფლება, მათ ჩვენს პარტიას უწოდეს მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“ და ამით იმედს გამოთქვამდნენ, რომ ჩვენი წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. ვფიქრობ, ამბობს დინჯად დიდი ბელადი, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები... დარბაზში ქუხს ოვაცია. იგი იწყება ლოჟაში, სადაც სხედან მოძმე პარტიების წარმომადგენლები, სადაც ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს—ვილჰელმ პიკს, მორის ტორეზს, ბოლესლავ ბერუტს, კლემენტ გოტვალდს, მატიას რაკოშის, გ. გეორგიუ-დეჟს, ვილკო ჩერვენკოვს, დოლორეს იბარურის და ბევრ სხვას.

დიდი ბელადი დაუფარავი სარკაზმით ლაპარაკობს ბურჟუაზიაზე. წინათ ბურჟუაზია ერის მეთაური იყო. ახლა იგი ამერიკულ დოლარებზე ჰყიდის ეროვნულ სუვერენიტეტს. და ამხანაგი სტალინი, მიმართავს რა მოძმე პარტიების წარმომადგენლებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთა თავისუფლების დროშა ხელში უნდა აიღონ მათ, კომუნისტებმა, თუ სურთ ერების ხელმძღვანელად ძალა გახდნენ. ამ სიტყვების პასუხად კვლავ ქუხს ტაში.

ამხანაგ სტალინის ბოლო სიტყვებს:

— გაუმარჯოს ჩვენს მოძმე პარტიებს!

— სიცოცხლე და გამარჯვება მოძმე პარტიების ხელმძღვანელებს!

— გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!

— ძირს ომის გამჩაღებლები!

ფარავს ყრილობის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყრილობის დელეგატები და სტუმრები გრანდიოზულ ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვოროშილოვმა.

22 საათსა და 25 წუთზე თავმჯდომარე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას დახურულად აცხადებს. **მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „დიდება დიდ სტალინს!“. ყრილობის დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. კვლავ ქუხს ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად. დარბაზის ყველა კუთხიდან მრავალ ენაზე მოისმის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი მისალმების შეძახილები.** (საკდესი).

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ეჭვი არ არის, რომ ლენინ—სტალინის პარტიის სახელოვან ისტორიაში ახლანდელი ყრილობა თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს.

ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა ხალხი ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას, შეაჯამა ჩვენი პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგები და დასახა ჩვენი შემდგომი წინსვლის პერსპექტივები.

ყრილობის მუშაობამ ცხადყო ჩვენი პარტიის უდიდესი ნდობა თავისი სტალინური ხელმძღვანელობისადმი, მისი მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. **(მქუხარე ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ყრილობამ მოისმინა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მალენკოვის მოხსენება, რომელშიც მოცემულია ცენტრალური კომიტეტის ყოვლისმომცველი ანგარიში XVIII და XIX ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში მოღვაწეობის შესახებ და დასახულია პარტიის ამოცანები მომავალი პერიოდისათვის. ყრილობამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და პრაქტიკულ მუშაობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების განხილვამ კვლავ და კვლავ ცხადყო ლენინ—სტალინის პარტიის დიადი ერთიანობა, მისი მჭიდრო დარაზმულობა თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და გაუყრელი კავშირი მშრომელთა უფართოეს მასებთან.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. საბუროვის მოხსენების გამო ყრილობამ დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. დირექტივები განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყრილობის გადაწყვეტილებებს პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ.

ამიერიდან ჩვენს პარტიას ეწოდება **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.** პარტიის ახალი სახელწოდება ყველაზე ზუსტად გამოხატავს პარტიის ამოცანების მარქსისტულ შინაარსს. პარტიის ორმაგ სახელწოდებაზე — „კომუნისტური“ — „ბოლშევიკური“ —უარისთქმა ასახავს იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს, რომ ლენინურ-სტალინურმა პრინციპებმა ჩვენს პარტიაში სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, რომელიც მიღებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, განზოგადებულია პარტიის მიერ XVIII ყრილობის შემდეგ შეძენილი უდიდესი ორგანიზაციული გამოცდილება. ყრილობის მიერ წესდებაში შეტანილი ცვლილებანი მოასწავებენ ახალ, უფრო მაღალ ეტაპს პარტიის განვითარებაში, ეტაპს, რომელიც შეეფერება კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

რეზოლუციაში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის გადამუშავების შესახებ“ ყრილობამ საჭიროდ ცნო გადამუშავდეს პარტიის არსებული პროგრამა. პროგრამის გადამუშავების განსახორციელებლად ყრილობის მიერ შექმნილი კომისია იხელმძღვანელებს ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძირითადი დებულებებით. სტალინის ამ შრომის იდეები გვიშუქებენ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ წინსვლის გზას. **(ხანგრძლივი ტაში).**

მას შემდეგ, რაც განიხილა პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე, ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია.

ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მუშაობას იწყებს კომუნისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილებით და სტალინური მეცნიერებით შეიარაღებული. პარტიამ იცის, რომ მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინის მეთაურობით უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელებას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ სტალინის სიტყვა, რომელიც ესოდენ დიდი ყურადღებით მოისმინეს ყრილობის დელეგატებმა და ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა, ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი პროგრამა გახდება. ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გამოსვლა მოქმედების თამამგონებელი სახელმძღვანელო იქნება ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის მათს კეთილშობილურ ბრძოლაში ხალხთა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! მთელი ისტორიული ხანა ჰყოფს XIX ყრილობას პარტიის XVIII ყრილობისაგან. ისტორიას არ ახსოვს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებით უფრო აღსავსე პერიოდი, ვიდრე გასული პერიოდი იყო.

ამ პერიოდის დასაწყისი, როგორც ცნობილია, აღინიშნა პარტიის უდიდესი მეღწევებით მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

როცა ჰიტლერული გერმანია და მისი სატელიტები ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს და შეწყვიტეს მისი შემოქმედებითი შრომა, ჩვენმა ხალხმა, ლენინ—სტალინის პარტიის მეთაურობით, მტერს დაუპირდაპირა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება, თავისი რიგების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მგზნებარე პატრიოტიზმი და ურყევი მისწრაფება სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი.

გერმანიის ფაშიზმთან პირისპირ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ პირველხარისხოვანი საბჭოთა იარაღით და მრავალნაირი თანამედროვე სამხედრო ტექნიკით, და რომლებსაც მეთაურობდნენ სტალინური სკოლის გენერლები, ადმირალები და მარშლები, სოციალისტური რევოლუციის უდიდესი სტრატეგისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით უკვდავყვეს სამშობლო თავიანთი მამაცობით, უსაზღვრო გმირობით და ნამდვილი მხედრული ოსტატობით. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი არმიების, ფრონტებისა და მათი შტაბების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის ხელში მრისხანე იარაღი იყო გამარჯვების სტალინური სამხედრო მეცნიერება.

ამ ჩინებული იარაღით საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, მთელი რიგი ისტორიული ბრძოლების შედეგად, რომლებიც სტალინური ოპერატიულ-სტრატეგიული ხელოვნების კლასიკური ნიმუშები გახდნენ, მოიპოვეს სრული გამარჯვება, მტერი განადგურებულ იქნა და მან კაპიტულაცია მოახდინა. **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ჩვენი სამშობლოს ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით შრომითი გმირობის სასწაულები მოახდინა, ვადამდე შეასრულა მეოთხე, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი და წარმატებით წყვეტს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის ამოცანებს.

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სამშობლო ჯერ არასოდეს არა ყოფილა ესოდენ დიდი და მძლავრი, სასიცოცხლო ძალებითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, როგორიც იგი ამჟამად გახდა! **(ხანგრძლივი ტაში).**

განვლილი გზის, მოპოვებულ გამარჯვებათა და მიღწევათა შედეგად განუზომლად გადიდდა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი, გაძლიერდა მისი გავლენა მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე.

ჯერ კიდევ 1927 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ შემდგომი ისტორიული განვითარების მსვლელობაში „შეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც სოციალიზმისაკენ მიისწრაფვიან, და კაპიტალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც კაპიტალიზმისაკენ მიისწრაფვიან“.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა სტალინის ეს გენიალური განჭვრეტა.

„საბჭოთა სახელმწიფო, — თქვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მალენკოვმა, — ახლა აღარ არის კაპიტალისტური ქვეყნებით გარემოცული განმარტოებული კუნძული“.

ჩვენ დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან ერთიანი ფრონტით მივდივართ წინ. ჩვენ თანაგვიგრძნობს და მხარს გვიჭერს მსოფლიოს ყველა მოწინავე და პატიოსანი ადამიანი. განუწყვეტლივ იზრდებიან ჩვენი ძალები, მილიონობით უბრალო ადამიანთა ძალები, რომლებმაც მოიშორეს კაპიტალიზმის ბორკილი, დაირაზმნენ თავიანთთვის და მომავალ თაობათათვის ახალი, ბედნიერი ცხოვრების მოსაპოვებლად ბრძოლის დროშის ქვეშ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს კაპიტალიზმის განწირული ბანაკი.

კაპიტალისტურ ბანაკში სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობანი ქვეყნებს შორის და იზრდება წინააღმდეგობანი თვით ქვეყნებს შიგნით. სულ უფრო მრისხანედ უახლოვდება მათ ახალი ეკონომიკური კრიზისი, ოლმობლად იზრდება უმუშევრობა და მისი აუცილებელი თანამგზავრი — მშრომელი მასების გაღატაკება.

ამერიკის იმპერიალიზმი, რომელმაც კაპიტალიზმის მხსნელის როლი იკისრა, ცდილობს გააერთიანოს მთელი დედამიწის რეაქციული ძალები, გაანაღოს ახალი მსოფლიო ომი სსრ კავშირისა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ და იმედი აქვს ამ გზით მოიპოვოს მსოფლიო ბატონობა.

საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ლენინ—სტალინის პარტია, სხვა ქვეყნების ასეულ მილიონობით მშვიდობის მომხრესთან ერთად, მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებთან ერთად, იბრძოდნენ და კვლავ განუწყვეტლივ იბრძოლებენ მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ჩვენი პარტიის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება — იბრძოლოს მშვიდობისათვის და დაიცვას მშვიდობის საქმე — ახალი ძალით დაადასტურა ახლანდელმა ყრილობამ.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეგვიძლია თუნდაც ერთი წუთით შევასუსტოთ ჩვენი ყურადღება საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის საკითხებისადმი.

ჩვენს პარტიას, მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს მიაჩნდათ და მომავალშიც თავის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიიჩნევენ უზრუნველყონ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა, ყველა ღონისძიებით უზრუნველყონ, რომ საბჭოთა ადამიანები სავსებით მომზადებული დახვდნენ ყოველ აგრესორს.

ამხანაგებო! ჩვენი ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ჩვენს პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს უსახავენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ახალ დიდებულ ჰორიზონტებს.

ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება საბჭოთა სამშობლოს გახდის კიდევ უფრო ძლიერ სახელმწიფოდ და დიდი წვლილი იქნება დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის განმტკიცების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა, ჩვენი გამოცდილებით გამდიდრებულნი, კიდევ უფრო მტკიცედ ივლიან თავისუფლებისა და პროგრესის გზით.

ეს არის ჩვენი პარტიის XIX ყრილობის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა.

ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის ჩვენი დიადი საქმის დიდ მნიშვნელობას თვალნათლივ მოწმობენ მომძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მისალმებანი XIX ყრილობისადმი.

ისტორიამ ლენინ—სტალინის პარტიას დააკისრა დიდი, კეთილშობილური მისია — უზრუნველყოს კომუნისტური საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში და ამით მთელ კაცობრიობას გაუკაფოს გზა კომუნიზმისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ვიცით, რომ მარტო გამარჯვებათა სიხარული როდი მოგველის, გარდუვალია სიძნელეებიც, მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ლენინ—სტალინის პარტია თავისი გენიალური ბელადის წინამძღოლობით გადალახავს ყველა სიძნელეს და მოიპოვებს სრულ გამარჯვებას. **(მქუხარე ტაში).**

მაგრამ, უფრო სრულად რომ გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა და უფრო ჩქარა ვიაროთ წინ — დასახული მიზნისაკენ, აღმოვფხვრათ ჩვენს გზაზე ყველა სიძნელე და დაბრკოლება, მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ მუშაობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, აღმოვფხვრათ უზრუნველობის, უდარდელობისა და თვითდამშვიდების განწყობილება.

ნაკლოვანებებთან, შეცდომებთან და ყოველგვარ ავადმყოფურ მოვლენებთან პარტიის ბრძოლაში უბადლო იარაღია კრიტიკა და თვითკრიტიკა. იგი განამტკიცებს პარტიას, აძლიერებს მის ბრძოლისუნარიანობას, აფართოებს და აღრმავებს მის კავშირს მასებთან, ავითარებს პარტიული რიგებისა და ყველა მშრომელის შემოქმედებითს აქტივობას.

ამხანაგებო! ლენინ—სტალინის პარტია სარგებლობს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულით. ჩვენს პარტიას, მის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს შეჰყურებენ მთელი მსოფლიოს მშრომელები და პროგრესული ადამიანები, ყველა, ვისაც სურს თავისი, თავისი შვილების, მომავალ თაობათა ბედნიერება. ნება მიბოძეთ ამ მაღალი ტრიბუნიდან განვაცხადო, რომ ჩვენი პარტია ბოლომდე შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას. ძლევამოსილი დროშა—მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროშა კვლავაც ამაყად იფრიალებს განთავისუფლებულ და განახლებულ დედამიწაზე! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საამო და სასიხარულოა იმის შეგნება, რომ საბჭოთა ხალხი აშენებს და ქმნის ახალ ცხოვრებას ჩვენი ბრძენი მასწავლებლის, ბელადისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ვისი ნათელი გონება, მძლავრი ნება და უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი ახალ გამარჯვებათა საწინდარია, კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრის საწინდარია, რომლებიც ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ დასახა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ და თავისუფალ ხალხს, ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედს! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას — ლენინ — სტალინის პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდება მშრომელთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს ამხანაგ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „ვაშა!“, „დიდ ამხანაგ სტალინს ვაშა!“).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას დახურულად ვაცხადებ. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „დიდება დიდ სტალინს!“. ყრილობის დელეგატები და სტუმრები დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. კვლავ იმართება მქუხარე ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად. დარბაზის ყოველი კუთხიდან მრავალ ენაზე მოისმის საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი მისალმების შეძახილები).**

პოლონური გაზეთი „კურიერ ცოძენი“ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მუშაობის შესახებ

ვარშავა, 14 ოქტომბერი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში „ურყევი ძალა“ გაზეთი „კურიერ ცოძენი“ კომენტარს უკეთებს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მუშაობას.

ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის ბედნიერება, წერს გაზეთი, გულდასმით უგდებს ყურს იმ სიტყვებს, რომლებიც კრემლიდან მოისმის. დებულებანი, რომლებსაც შეიცავენ მოხსენებები, გამოსვლები და კამათი, მილიონობით მშრომელთათვის წარმოადგენენ ახალი ენერგიის წყაროს, მშვიდობისადმი მათი საერთო მისწრაფების გამოხატულებას, რაზმავენ საბჭოთა ხალხსა და სხვა ქვეყნების ხალხებს ახალ წარმატებათა მისაღწევად და სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენენ ომის გამჩაღებლებისათვის.

ეხება რა სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის და მშვიდობის ბანაკის მზარდი ძალების ანალიზს, რასაც გ. მ. მალენკოვის მოხსენება შეიცავს, გაზეთი წერს: „ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლის სათავეში მდგომი პარტიის ნათელი, კონკრეტული მითითებანი აღგვაფრთოვანებენ იმისათვის, რომ გავაჩაღოთ კიდევ უფრო აქტიური ბრძოლა მშვიდობისათვის“.

პარტიის XIX ყრილობა, წერს შემდეგ გაზეთი, სახავს ნათელ გზას სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ. ი. ბ. სტალინის უდიდესი მნიშვნელობის შრომა, რომელშიც მოცემულია სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი ანალიზი, მტკიცე საძირკველი იქნება სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის პოლონეთშიც.

ეს შრომა, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მუშაობის ულრმესი თეორიული საფუძველი გახდა, სახავს გზებს საბჭოების ქვეყნის გადასვლისათვის სოციალიზმიდან კომუნიზმში. გარდა ამისა, იგი შეიცავს მთელ რიგ მითითებებს, რომლებიც ი. ბ. სტალინმა გააკეთა მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახლანდელი თანაფარდობის ღრმა, ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ხელმძღვანელისა და მასწავლებლის სიტყვები განუმტკიცებენ პოლონელ ხალხს რწმენას სოციალიზმისათვის ბრძოლის წარმატებისადმი.

დასასრულ გაზეთი წერს: ლენინ-სტალინის დიადი პარტია — საბჭოთა ხალხების გამარჯვებათა შემოქმედი,— XIX ყრილობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, წაიყვანს თავის ქვეყანას ახალი ტრიუმფისაკენ, რომლის პერსპექტივებიც გადაშლილია ხუთწლიანი გეგმით.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად

ბუდაპეშტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ნეპსავა“ იუწყება, თურა საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს ოზდის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადეებმა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად. მეფოლადეების ზილახის, მიკოვინისა და მედვეს ბრიგადებს, რომლებიც № 7 მარტენის ღუმელზე მუშაობენ, აღებული ჰქონდათ ვალდებულება ყრილობის აღსანიშნავად ოქტომბრის პირველ 10 დღეში გეგმის გადამეტებით მოეცათ 45 ტონა ფოლადი. ახლა მეფოლადეები სიამაყით უპატაკებენ, რომ თავიანთი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს, ოქტომბრის პირველ დეკადაში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 76 ტონა ფოლადი.

ყრილობის აღსანიშნავ შრომითს შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს დიოშდიერის მეტალურგებმა.

გამოიცა ნ. ა. ბულგანინის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა: „ნ. ბულგანინი. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობაზე“.

ბროშურის ტირაჟია 1 მილიონი ცალი. (საკდესი).

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ. ბერუტმა ორდენები გადასცა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს

11 ოქტომბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში მოსკოვში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა პოლონეთის ორდენები გადასცა ექვს საბჭოთა სპეციალისტს პოლონეთის მრეწველობის განვითარებაში გაწეული დახმარებისათვის.

I კლასის „შრომის დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია პ. ვ. ნიკიტინი; II კლასის „შრომის დროშის“ ორდენით — დ. გ. დიატლოვი, მ. ხ. პოლიკარპოვი, ვ. ი. სკობელევი, ა. ვ. კურაკოვი, გ. ი. აგაფონოვი.

ორდენების გადაცემას საბჭოთა მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. თ. პოდცერობი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-4 განყოფილების გამგე პ. ფ. სტრუნიკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ა. გ. კულაჟენკოვი.

პოლონეთის მხრივ დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტბიუროს წევრები ფ. მაზური და ე. ოხაბი, აგრეთვე პოლონეთის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის ლევიკოვსკის მეთაურობით. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIX ყრილობა

ცვლილებანი საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში თავისი გმირული ბრძოლით დაიცვა დიადი სოციალისტური მონაპოვარნი და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი მოიპოვა. ომისშემდგომ წლებში ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყვეს მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება და მოიპოვეს უდიდესი წარმატებანი მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. ეკონომიკის ზრდასთან ერთად განუხრელად მაღლდება ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე.

გამარჯვებები და მიღწევები კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

წარმატებანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს, მოპოვებულ იქნა იმის მეოხებით, რომ პარტია დაუცხრომლად ეწეოდა მასებში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად. კომუნისტური პარტიის ორგანიზატორული მუშაობა აერთებდა და საერთო მიზნისაკენ წარმართავდა საბჭოთა ადამიანების ყველა ღონისძიებას, რათა უზრუნველეყო მტრის განადგურება ომის მკაცრ წლებში და სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა და შემდგომი განვითარება ომისშემდგომ პერიოდში, კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულება.

საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის გზას უნათებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები. ჩვენი პარტიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიარაღებულია საზოგადოებრივი განვითარების კანონთა ცოდნით და თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიით.

ამხანაგ სტალინის გამოსვლებს, რომლებმაც შეადგინეს წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, ამხანაგ სტალინის ნაშრომს „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს იდეოლოგიურ საკითხებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში ახალი ფასდაუდებელი წვლილია ამხანაგ სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამხანაგი სტალინი, შემოქმედებითად ავითარებს რა მარქსისტულ—ლენინურ მეცნიერებას, აიარაღებს პარტიასა და საბჭოთა ხალხს მოძღვრებით თანამედროვე კაპიტალიზმის და სოციალიზმის ეკონომიკური კანონების ხასიათის შესახებ, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების პირობების შესახებ.

ამხანაგ სტალინის შრომას ეკონომიკურ საკითხებზე, ისევე როგორც სხვა მის ნაშრომებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის, ლენინიზმის უკვდავი იდეების სულისკვეთებით პარტიის წევრთა და ყველა მშრომელის აღზრდის საქმისათვის.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ახალი ენერგიით აჩაღებს ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სამუშაოთა დიადი პროგრამის განსახორციელებლად, სულ უფრო იზრდება კომუნისტური პარტიის წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი, მისი ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელობა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაწყვეტა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე.

ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს უყენებენ კიდევ უფრო მაღალ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ პარტიული მუშაობისა და პარტიული მშენებლობის პრაქტიკაში.

ჩვენი პარტია განუწყვეტლივ სრულყოფს თავისი მუშაობის მეთოდებს, ვითარებისა და ახალი ამოცანების მიხედვით ცვლის პარტიული მშენებლობის ფორმებს.

XVIII ყრილობის შემდეგ პარტიამ შეიძინა პარტიული მშენებლობის ახალი გამოცდილება, რომელიც უნდა აისახოს პარტიის წესდებაში. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ ის გარემოებაც, რომ წარსული ყრილობის მიერ მიღებული წესდების ზოგიერთი პუნქტი მოძველდა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევიტანოთ დამატებანი და ცვლილებანი პარტიის წესდებაში.

პარტიის ახალი სახელწოდების და წესდებაში პარტიის მთავარი ამოცანების განსაზღვრის შესახებ

ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მოიცდა ჩვენი პარტიის სახელწოდების დაზუსტების საჭიროება. ჩვენი ეროვნებადებაა საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) ამიერიდან ეწოდოს „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“.

პარტიის სახელწოდების დაზუსტება მიზანშეწონილია შემდეგი მოსაზრებებით:

ჯერ—ერთი, პარტიის სახელწოდება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“ უფრო ზუსტია. ასეთი სახელწოდება პარტიისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მმართველი პარტიაა, უფრო შესაბამისი იქნება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოების სახელწოდებისა;

მეორე, ამჟამად საჭირო აღარ არის დავტოვოთ პარტიის ორმაგი სახელწოდება—კომუნისტური და ბოლშევიკური, რამდენადაც სიტყვები „კომუნისტი“ და „ბოლშევიკი“ ერთ შინაარსს გამოხატავენ.

პარტიის სახელწოდებას სიტყვა „ბოლშევიკებისა“ რომ დაემატა, ამას ჩვენი პარტიის ისტორიაში უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციამდელ წლებში, როცა პარტიას ერქვა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, სიტყვა „ბოლშევიკების“ დამატება უჩვენებდა ახალი ტიპის პარტიისადმი, ლენინელთა პარტიისადმი კუთვნილებას, იმ პარტიისადმი, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების წინააღმდეგ და პროლეტარიატისადმი მტრულ სხვა პარტიათა და დაჯგუფებათა წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა VII ყრილობაზე ჩვენს პარტიას დაერქვა კომუნისტური პარტია, მისი სახელწოდებისათვის სიტყვა „ბოლშევიკების“ დამატება დარჩა, რადგან ასეთმა სახელწოდებამ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა არა მარტო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ასე დამკვიდრდა პარტიის ორმაგი სახელწოდება—კომუნისტური და ბოლშევიკური. არსებითად კი სიტყვები „კომუნისტი“ და „ბოლშევიკი“, როგორც უკვე ვთქვი, ერთ შინაარსს გამოხატავენ. და თუმცა ყველა ჩვენგანი, ამხანაგებო, მიჩვეული ვართ, რომ კომუნისტებს ვუწოდებდეთ ბოლშევიკებს, მაგრამ ახლა საჭირო არ არის ორმაგი დასახელება დავტოვოთ პარტიის სახელწოდებაში, პარტიის წესდებაში.

შემდეგ, არის წინადადება პირველ პარაგრაფში ჩამოყალიბდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი მთავარი ამოცანების მოკლე განსაზღვრა შემდეგი რედაქციით:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანამოაზრე კომუნისტების ნებაყოფლობითი მებრძოლი კავშირი, ორგანიზებული მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ადამიანებისაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მოაწყო რა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლება, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, მოსპო კაპიტალიზმი, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველი ღონით განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

წესდების პირველი პარაგრაფი უაღრესად მოკლედ, მაგრამ შინაარსთან ღრმად ასახავს ჩვენი პარტიის მიერ განვლილი გზის დიად შედეგებს და განსაზღვრავს მის მთავარ ამოცანებს მომავლისათვის.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი პარტია სათავეში უდგას რევოლუციურ მოძრაობას, განუწყვეტლივ ადუღაბებს მის რიგებს. ნათელი მიზნით, ნებისა და მოქმედების ერთიანობით გაერთიანებული პარტია ახლა არის თანამოაზრე კომუნისტების ისეთი ერთიანი მებრძოლი კავშირი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა, რაც კიდევაც აღბეჭდილია წესდების წარმოდგენილ პროექტში.

პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დაამხო ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, კომუნისტურმა პარტიამ შექმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო და ააშენა სოციალისტური საზოგადოება. ეს მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრები გამოხატულებას პოულობს წესდების პროექტის პირველ პარაგრაფში.

კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობა ემსახურება დიად მიზანს — ააშენოს კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში იმ გზით, რომ შექმნას საჭირო წინასწარი პირობები სოციალიზმის ეკონომიკიდან სხვა, უმაღლეს ეკონომიკაზე, კომუნიზმის ეკონომიკაზე ძირეული გადასვლისათვის. კომუნისტური საზოგადოების აშენება საბჭოთა კავშირის ხალხთა პრაქტიკული ამოცანა გახდა. ამოცანები, რომლებსაც კომუნისტური პარტია სახავს, საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად.

ვის შეუძლია იყოს პარტიის წევრი

კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის წევრობის საკითხს, რომელიც პარტიული მშენებლობის ძირეული საკითხია. პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი მუდამ განსაკუთრებით ზრუნავდნენ პარტიის რიგების სიწმინდისათვის, პარტიის წევრის წოდებისა და მნიშვნელობის აღაღლებისათვის, პარტიის რიგების ორგანიზებულობისა და დარაზმულობისათვის. პარტია ძლიერია თვითეული კომუნისტის მაღალი შეგნებულობითა და პასუხისმგებლობით პარტიის იდეებისა და მისი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

კიდევ უფრო რომ ამაღლდეს კომუნისტური პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა, წინადადებაა წესდების პროექტში პარაგრაფი იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი, ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად უწყობს ხელს მათ განხორციელებას, მუშაობს პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში და ასრულებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას.

პარტიის წევრი იხდის დაწესებულ საწევრო შესატანს“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა საზოგადოება მეგობრული კლასებისაგან შედგება. განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

წესდებაში იმის აღნიშვნა, რომ პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას, განამტკიცებს პარტიის მონაპოვრებს და ასახავს იმ მდგომარეობას, რომ კომუნისტური პარტია შედგება მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ადამიანებისაგან.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში პარტიის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები მოითხოვენ პარტიის საქმისათვის თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის შემდგომ გაძლიერებას. ამიტომ პარტიის წევრობის შესახებ წარმოდგენილ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ პარტიის წევრი შეიძლება იყოს ის, ვინც არა მარტო აღიარებს პარტიის პროგრამას, წესდებას, არამედ აქტიურადაც უწყობს ხელს მათ განხორციელებას და ასრულებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას.

პარტიის წევრთა მოვალეობანი

კიდევ უფრო რომ ამაღლდეს პარტიის წევრების ავანგარდული როლი კომუნიზმის მშენებლობაში, საჭიროა წესდებაში უფრო სრულად განისაზღვროს პარტიის წევრთა მოვალეობანი და ახალი პუნქტებით შეიკოსოს შესაბამისი პარაგრაფი.

წინადადებაა, უწინარეს ყოვლისა, ჩაიწეროს, რომ პარტიის წევრი მოვალეა ყველა ღონისძიებით დაიცვას პარტიის ერთიანობა, როგორც პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობა.

პარტიის ერთიანობის დაცვისათვის ზრუნვა კომუნისტს უპირველესი მოვალეობაა. ამიტომ სავსებით მართებული იქნება პარტიის წევრების მოვალეობათა ჩამოყალიბება ამ ძირითადი მოთხოვნით დაიწყოს.

ჩვენი პარტიის ძლიერებისა და მის დიად გამარჯვებათა წყარო მუდამ იყო და იქნება პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობა და მონოლითურობა. შემთხვევით როდი იყო, რომ პარტიის მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემნი და მოღალატენი არაერთხელ ცდილან განხეთქილება შეეტანათ პარტიის რიგებში და შეერყიათ მისი ერთიანობა. ჩვენმა პარტიამ სტალინის ხელმძღვანელობით გააკამტვერა ლენინიზმის მტრების ყოველი ცდა — დაერღვიათ პარტიის რიგების ერთიანობა.

კომუნისტური პარტია თავის XIX ყრილობას შეეგება ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მონოლითურად დარაზმული, ერთიანი და ძლიერი, მჭიდროდ შეკავშირებული ცენტრალური კომიტეტისა და თავისი გენიალური ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. **(ხანგრძლივი ტაში).**

XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში პარტია გაიზარდა და გამოიწრთო ომისა და ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეებთან ბრძოლაში. განვლილ პერიოდს ახასიათებს პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება.

მაგრამ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და შეცდომები.

ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხანაგ მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში მხილებულია პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი და შეცდომები, უარყოფითი, ზოგჯერ კი ავადმყოფური მოვლენები და დასახულია მათი აღმოფხვრისა და დაძლევის გზები.

საჭიროა ყველა პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის ყურადღების ცენტრში დავაყენოთ მტკიცე ბრძოლა პარტიულ და სახელმწიფო გადაწყვეტილებათა და დირექტივების შესრულებისათვის, რომლებშიც განსახიერებულია ჩვენი პარტიის პოლიტიკა. საჭიროა ყველა ღონისძიებით ავამაღლოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, გავაუმჯობესოთ ორგანიზაციული მუშაობა, გავაძლიეროთ კომუნისტების აქტივობა იმ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც ვხვდებით პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და მუშაობაში.

მომწიფდა საჭიროება გავითვალისწინოთ წესდებაში, რომ პარტიის წევრები მოვალენი არიან იყვნენ აქტიური მებრძოლნი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ბევრია პარტიის ისეთი წევრი, რომელიც ფორმალურად, პასიურად ეკიდება პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სამწუხაროდ, არიან კომუნისტები, რომლებიც სიტყვით ეთანხმებიან პარტიულ გადაწყვეტილებებს, ნამდვილად კი მაუდქვეშ ამოდებენ მათ, გულგრილად ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ნაკლებად ზრუნავენ და ნაკლებ ენერგიას იჩენენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება. ასეთ მუშაკებს როდი აწუხებს ის, რომ მათთვის მინდობილ უბანზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი დამაკმაყოფილებლად არ სრულდება. ისინი ნაკლები გულმოდგინებით, უენერგიოდ მუშაობენ, არ იჩენენ ინიციატივასა და სიმტკიცეს. ასეთი მუშაკები იმას, რის გაკეთებაც დღეს ძალიან კარგად შეიძლება, „სახვალიოდ“ გადასდებენ ხოლმე და ხშირად ცოცხალ საქმეს ქაღალდების ნიაღვარში ახრჩობენ.

პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები საკმაოდ არ იბრძვიან იმათ წინააღმდეგ, ვინც ფორმალურად ეკიდება პარტიულ დირექტივებს. ისინი სუსტად მუშაობენ იმისათვის, რომ აღზარდონ კადრები მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური, პასიური დამოკიდებულება დიდი ბოროტებაა, რასაც პარტია გადაჭრით უნდა ებრძოლოს. პარტიული გადაწყვეტილებებისადმი კომუნისტების ასეთი დამოკიდებულება ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას. ამიტომ წესდებაში უნდა ჩაიწეროს, რომ პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ფორმალური, პასიური დამოკიდებულება შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

მეორე ბოროტება, რომელსაც ჩვენს პარტიაში ვხვდებით, ის არის, რომ კომუნისტების ერთი ნაწილი უმართებულოდ ფიქრობს, თითქოს ჩვენ პარტიაში გვქონდეს ორი დისციპლინა — ერთი რიგითი წევრებისათვის, მეორე—ხელმძღვანელებისათვის.

ცოტა როდია ისეთი მუშაკი, რომელსაც მიაჩნია, რომ კანონები მისთვის არ იწერება. ასეთ მუშაკებს წარმოუდგენიათ, რომ მათ ყველაფრის ნება აქვთ და მათთვის დაქვემდებარებულ საწარმოებსა თუ დაწესებულებებს აქცევენ თავიანთ სამემკვიდრეო მამულად, სადაც ამყარებენ საკუთარ „წესრიგს“, საკუთარ „დისციპლინას“, უკუაგდებენ რა სახელმწიფოებრივ დისციპლინას. ისინი ანგარიშს არ უწევენ პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, პარტიული მასის აზრს. იქ, სადაც მოკალათებული არიან ასეთი ბიუროკრატები, რომლებსაც ჯიბეში პარტიული ბილეთი უდევთ, ბევრია ყოველგვარი უმსგავსობა.

გასაგებია, რომ პარტია ვერ შეურიგდება ასეთ ბატონყაცურ, ანტიპარტიულ წარმოდგენას დისციპლინაზე. ეს ბოროტებაც გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ, რადგან იგი ძირს უთხრის პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ გაძლიერდეს მინდობილი საქმისათვის თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გრძნობა, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, უაღრესად მტკიცედ იქნას დაცული პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინა, რომელიც ერთნაირი უნდა იყოს პარტიის ყველა წევრისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა დამსახურება მიუძღვიათ და რა პოსტი უკავიათ მათ. წესდებაში უნდა ჩაიწეროს, რომ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევა დიდი ბოროტებაა, რომელიც ზიანს აყენებს პარტიას, და ამიტომ შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

ამხანაგებო! პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის განვითარების საქმეს, ნაკლოვანებათა გამოვლინებას და პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენი პარტიის ძალა სწორედ ის არის, რომ მას არ ეშინია კრიტიკისა და თავის ნაკლოვანებათა კრიტიკაში პოულობს ენერგიას შემდგომი წინსვლისათვის.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვხვდებით კრიტიკისა და თვითკრიტიკის შეუფასებლობას პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. ზოგიერთ მუშაკს, რომელიც აღჭურვილია პარტიის ნდობით და დაყენებულია პასუხსაგებ პოსტზე, სათანადო დასკვნა არ გამოაქვს პარტიის მრავალგზისი მითითებებიდან იმის შესახებ, რომ საჭიროა კრიტიკის და თვითკრიტიკის განვითარება, ებრძოლოს ჩქმალავს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ქმნის პარადული კეთილდღეობისა და თვითდამშვიდების ვითარებას კრიტიკასა და თვითკრიტიკას ხშირად გზას უღობავს ზოგიერთი „გალაქული“ კომუნისტის ჯიუტი წინააღმდეგობა.

გამოირკვა, რომ პარტიას ცოტა ზოგანს როდი აყენებენ ის კომუნისტებიც, რომლებიც დაუსრულებლივ გაჰყვებიან პარტიისადმი თავიანთ ერთგულებაზე, ნამდვილად კი ვერ ითმენენ კრიტიკას ქვემოდან, ახშობენ მას.

კრიტიკის ჩამხშობნი კრიტიკისათვის დევნის სულ სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ. გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა პატიოსან ადამიანებს კარგ მუშაკებს სამუშაოდან ითხოვენ მხოლოდ იმისათვის, რომ მათ გაიმაგრეს ქრეს ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, როცა იმ ადამიანებს, რომლებიც ცალკეულ მუშაკებს აკრიტიკებენ, აუტანელ პირობებს უქმნიან. ისეთი შემთხვევებიც კი არის, რომ ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები იმ ამხანაგებს, რომლებიც სწორ კრიტიკულ შენიშვნებს იძლევიან, მუქარით აიძულებენ მოინანიონ და ვალდებულება იკისრონ, რომ აღარ გააკრიტიკებენ ნაკლოვანებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ასეთი მახინჯი მოვლენები ხდება პარტიული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა ხელმძღვანელობა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წაყრუებითაც კი, რომლებიც მოვალენი არიან იბრძოლონ კრიტიკის ჩახშობის თუნდაც ოდნავი გამოვლინების წინააღმდეგ. ამას გვიჩვენებს როსტოვის ოლქის ზოგიერთი პარტიულ ორგანიზაციის მაგალითი, სადაც ჯერ როვნად არ აფასებდნენ თვითკრიტიკას. შექმნილი არ იყო ქვემოდან კრიტიკის გაჩაღებისათვის საჭირო პირობები. ამას ის მოჰყვა, რომ ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში გაბიუროკრატებული მუშაკები სჯიდნენ კომუნისტებს, რომლებიც აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ქალაქ როსტოვის რკინიგზის რაიონში.

პარტიის როსტოვის საქალაქო კომიტეტმა და საოლქო კომიტეტმა, რომლებსაც ჰქონდათ სიგნალები, რომ პარტიის რკინიგზის რაიკომის ცალკეული ხელმძღვანელები დაკავშირებულნი არიან ქურდებთან და მექრთამეებთან, და სდევნიან კომუნისტებს, რომლებიც ბოროტმქმედებას ააშკარავებენ, დროზე არ მიიღეს საჭირო ღონისძიებანი, და დამნაშავენი დიდხანს დაუსჯელი იყვნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით კრიტიკის ჩახშობასა და სხვა ბოროტმქმედებაში დამნაშავენი პარტიიდან გაირიცხნენ და სასამართლო პასუხისგებაში მიეცნენ.

უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს იმათ წინააღმდეგ, ვინც აფერხებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. მხოლოდ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის ყოველმხრივ განვითარების პირობებში შეგვიძლია წარმატებით გადავლახოთ და აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება, როგორც ჰაერი, როგორც წყალი, რომ უიმისოდ, უთვითკრიტიკოდ, ჩვენი პარტია ვერ წავიდოდა წინ, ვერ აღმოფხვრიდა ჩვენს ნაკლოვანებებს. თვითკრიტიკა საფუძვლად უდევს ჩვენს პარტიას. კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და მაორგანიზებელი ძალაა, იგი მმართველი პარტიაა ჩვენს ქვეყანაში. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ უნდა გამოვააშკარაოთ და გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, თუ გვსურს წინსვლა, რომ მათ ჩვენს მეტი ვერავინ ვერ გამოააშკარავებს და ვერ გამოასწორებს. თვითკრიტიკა ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული ძალა უნდა იყოს, რომელსაც წინ მიჰყავს ჩვენი განვითარება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მარტო კრიტიკის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება არ კმარა. სავსებით სწორი იქნება ჩავწეროთ წესდებაში, რომ პარტიის წევრი მოვალეა განავითაროს თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, გამოავლინოს მუშაობის ნაკლოვანებანი და ეცადოს მათს აღმოფხვრას, იბრძოლოს პარადული კეთილდღეობის და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. საჭიროა წესდება იცავდეს პარტიის წევრებს, რომლებიც აკრიტიკებენ მუშაობის ნაკლოვანებებს, იცავდეს მათ კრიტიკის ჩამხშობთაგან. ის, ვინც აფერხებს თვითკრიტიკის განვითარებას, ახშობს კრიტიკას, ცვლის მას პარადულობით და ქების შესხმით, არ არის პარტიის წევრის მაღალი წოდების ღირსი.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კომუნისტების ერთ ნაწილში ვხვდებით მავნე აზრს იმის შესახებ, რომ პარტიის წევრებმა არ უნდა შეატყობინონ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს მუშაობის ნაკლოვანებანი. ხშირად ვხვდებით თეზისებს, რომ პასუხისმგებელი მუშაკები ხელს უშლიან კომუნისტებს გამოააშკარაონ ხელმძღვა-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობა

ცვლილებანი საკავშირო კ. პ. (ბ) წესდებაში

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ელი პარტიული ორგანოების წინაშე აქვს ცუდი მდგომარეობა იმ საფუძ-ლით, რომ თითქოს ეს მათ ხელს უშ-ლის მუშაობაში. ხელმძღვანელ მუშა-ებს შორის ჯერ კიდევ არიან დიდკა-ები და ბიუროკრატები, რომლებსაც ეგონიათ, რომ ძირეულ მუშაკებს უფ-ება არა აქვთ შეატყობინონ და არც ნდა შეატყობინონ ზემდგომ ორგა-ოებს მუშაობის ნაკლოვანებანი. ზოგი-რთი ხელმძღვანელი იმ ადამიანების ევნის გზასაც კი ადგება, რომლებიც ტშაობის ნაკლოვანებებს ატყობინე-ენ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანო-ებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ასაგებია, რომ პარტია მოვალეა ულ-ობლად ებრძოლოს ასეთ დიდკაცებს.

ახლა წესდებაში ჩაწერილია, რომ პარტიის წევრს უფლება აქვს ყოველ-გარი განცხადებით მიმართოს ყოველ არტიულ ინსტანციას, თვით ცენტრა-ულ კომიტეტსაც. როგორც ჩანს, ეს ეკმარისი არ არის. წესდებაში უნდა ინიშნოს, რომ პარტიის წევრს არა არ-ტო უფლება აქვს, არამედ მოვა-�აც არის აცნობოს ხელმძღვანელ არტიულ ორგანოებს, თვით ცენტრა-ულ კომიტეტამდე, მუშაობის ნაკლო-ანებანი, პიროვნებათა მიუხედავად, ოლო იმათ შესახებ, ვინც პარტიის ევრს ხელს უშლის შეასრულოს ეს ოვალეობა, წესდებაში უნდა ჩაიწე-ოს, რომ ასეთი პირები სასტიკად ნდა ისჯებოდნენ, როგორც პარტიის ების დამრღვევნი.

ასევე დიდი ბოროტებაა პარტია-თვის სიმართლის დამალვის, პარტიის იმართ უპატიოსნო და არაგულმართა-ი ქცევის ფაქტები, რომლებიც გავ-აცელდა კომუნისტების ერთ ნაწილში. ზოგიერთი მუშაკი, როგორც ამას ენტრალური კომიტეტისა და მთავ-ობის მიერ გამოაშკარავებული ფაქ-ები მოწმობენ, ცდილობს ითვალთ-აქცოს პარტიისა და სახელმწიფოს ინაშე, ადგება იმ გზას, რომ მოატ-ყოს, დაუშალოს სახელმწიფოს მის ანკარგულებაში არსებული მატერია-ური სახსრები. ეს მოწმობს, რომ ერ კიდევ ბოლომდე აღმოფხვრილი რ არის ანტისახელმწიფოებრივი პრაქ-იკა, როცა ვიწროუწყებრივ ინტე-რესებს სახელმწიფოს ინტერესებზე, პარტიის ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

ცალკეული მუშაკები ცდილობენ ეალამაზონ საქმის ვითარება, თვა-ის ახვევას მიმართავენ, მინაწერს ეკეთებენ გეგმების შესრულების ანგა-იშებს.

არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომ-ლებიც არღვევენ ან გვერდს უვლიან საბჭოთა კანონებს და უშვებენ არა-ომპლექტურ, დაბალი ხარისხის პრო-დუქციას, ასაღებენ მას პირველი ხა-ისხის პროდუქციად, რითაც დიდ ზა-იალს აყენებენ სახელმწიფოს და მომ-მარებელთა ინტერესებს.

ცხადია, რომ პარტია ვერ შეურიგ-ებდა თავის რიგებში მატყუარებს, ოადგან ასეთი ადამიანები თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედებით ძირს უთხრიან პარტიისადმი ნდობას, მორა-ლურად ხრწნიან კომუნისტების რი-ებს. ხალხში ტყუილად როდი ამბო-ენ: „ვისაც ტყუილი უყვარს, მეგობ-ად არ გამოდგებაო“. უნდა ვამხი-ლოთ, დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ და სასტიკად დავსაჯოთ მატყუარები, თავიდან მოვიშოროთ ისინი. ამასთანა-ვე პარტიული ორგანიზაციები მოვალე-ნი არიან აღზარდონ კომუნისტები ულმართლობისა და პატიოსნების, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესე-ბის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით.

ზემონათქვამის მიხედვით, ჩვენი წი-�ადებაა წესდებაში ჩავწეროთ, რომ პარტიის წევრი მოვალეა გულმართალი და პატიოსანი იყოს პარტიის წინაშე, არ დაუშვას სიმართლის დაფარვა და დამა-ბნეველობა და რომ პარტიის წინაშე კომუ-ნისტის არაგულმართლობა და პარტიის მატყუება უმძიმესი ბოროტებაა და მეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

აგრეთვე საჭიროა წესდებაში გავით-ვალისწინოთ, რომ პარტიის წევრი მო-ვალეა იცავდეს პარტიულ და სახელმ-წიფო საიდუმლოებას, იჩენდეს პოლი-ტიკურ სიფხიზლეს, რომ პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების გამ-ჟღავნება დანაშაულია პარტიის წინაშე და შეუთავსებელია მის რიგებში ყოფ-ნასთან.

ასეთი დამატების აუცილებლობას გვიკარნახებს ის, რომ კომუნისტებს შორის საკმაოდ ფართოდ გავრცელდა პოლიტიკური უდარდელობისა და დოყ-ლაპიობის გამოვლინებანი, პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების გამ-ჟღავნების ფაქტები. ბევრი მუშაკი იხიბლება სამეურნეო წარმატებებით და ივიწყებს პარტიის მითითებას, რომ საჭიროა ყოველმხრივ გავაძლიეროთ სიფხიზლე. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა, ის, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მტრები ცდილობდნენ და კვლავაც ეცდებიან შემოგზავნონ ჩვენს ქვეყანაში თავიანთი აგენტურა ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. მტრული ელემენტები თავიანთი საზიზღარი მიზნებისათვის ცდილობენ გაძვრნენ სხვადასხვა პოსტებზე პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში და გამოიყენონ უდარდელი, მოლაყბე ადამიანები, რომლებსაც უნარი არა აქვთ დაიცვან პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოება.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გადაჭრით მოუღონ ბოლო პოლიტიკური უდარდელობის გამოვლინებებს, აღზარდონ კომუნისტები პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოების უაღრესად მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით. კომუნისტების მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, მტრული ელემენტების ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა. თვითეულ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ სიფხიზლე საჭიროა ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში.

პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულების გადამწყვეტი პირობაა კადრების სწორი შერჩევა, განაწილება და აღზრდა პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არ არის ნაკლოვანებანი. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციაში დიდ ბოროტებას წარმოადგენს კადრების შერჩევისადმი მანკიერი მიდგომა, როცა ეს შერჩევა ხორციელდება არა საქმიანი და პოლიტიკური მოსაზრებებით, არამედ მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების, ნეზობლობისა და ნათესაობის ნიშნების მიხედვით.

იქ, სადაც იკრიბება თავისიანების — პირადი მეგობრების, ნათესავების თუ მეზობლების ოჯახი, — გარდუვლად იქმნება ჭაობი, მისწრაფება დაფარონ ერთმანეთის ნაკლოვანებანი, წარმოიშობა ურთიერთთავდებობა.

არის ფაქტები, რომ ცალკეულ ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელები შინაურულობისა და მეგობრული ურთიერთობის გამო მფარველობას უწევენ მუშაკებს, რომლებმაც ჩაფუშეს მუშაობა, და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ ისინი საქმის ინტერესების საზიანოდ. ცალკეული ხელმძღვანელები უპრინციპობას იჩენენ, როცა იმ პირებს, რომლებმაც ჩაფუშეს მუშაობა და რომლებიც მოხსნილი არიან პოსტებიდან, დადებითს, ქების დახასიათებას აძლევენ და ამით ხელს უწყობენ მათს მოწყობას სხვა პასუხსაგებ სამუშაოზე.

კადრების შერჩევის პარტიული პრინციპების დარღვევა იწვევს ცალკეულ საწარმოთა და დაწესებულებათა აპარატის დანაგვიანებას უღირსი მუშაკებით, ყალთაბანდფრებითა და გაიძვერებით, ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის.

ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი იმის ნაცვლად, რომ მტკიცედ დაიცვას პარტიის მოთხოვნები პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით კადრების სწორი შერჩევის შესახებ, ცდილობს შემოიკრიბოს მაჰმადელები, მლიქვნელები, უუნარო ადამიანები, ხოლო პატიოსან, საქმის გულშემატკივარ მუშაკებს, რომლებიც ნაკლოვანებებს ებრძვიან, სდევნის.

გასაგებია, რომ მუშაკების ასეთ შერჩევას საერთო არა აქვს რა ჩვენი პარტიის მიერ დაწესებულ პრინციპებთან და ზიანს აყენებს პარტიას.

ამოცანა ის არის, რომ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა. რგოლში კადრების შერჩევისათვის მუშაობა, გავაძლიეროთ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მუშაკების სწორად შერჩევისათვის.

საჭიროა წესდებაში აღინიშნოს, რომ პარტიის წევრები მოვალენი არიან გაუხარელად ახორციელებდნენ პარტიის მითითებებს კადრების სწორად შერჩევის შესახებ მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით, და ჩაიწეროს, რომ ამ მითითებათა დარღვევა, მეგობრული ურთიერთობის, პირადი ერთგულების, მეზობლობისა და ნათესაობის ნიშნებით მუშაკების შერჩევა შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან.

პარტიის წევრების მოვალეობათა შესახებ ამ ახალი პუნქტების შეტანა პარტიის წესდებაში გამოხატავს კომუნისტთა პოლიტიკური სიმწიფისა და აქტივობის ზრდას, მოწმობს, რომ ფართოდ განვითარებულია შინაპარტიული დემოკრატია, რომელიც ჩვენი პარტიის განვითარების დამახასიათებელი თავისებურებაა. ამ დამატებათა მიზანია პარტიული მასების თვითმოქმედების კიდევ უფრო გაძლიერება. ისინი გამოიწვევენ კომუნისტების ახალ აქტივობას და დიდად შეუწყობენ ხელს პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, რათა მატერიალური და სულიერი ძალები და საშუალებანი, რომლებიც პარტიისა და სახელმწიფოს ხელშია, ყველაზე ეფექტიანად იქნას გამოყენებული კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის ტემპის დასაჩქარებლად.

შემდეგ, საჭიროა შევეხოთ დამატებებს პარტიიდან იმ კომუნისტების გარიცხვის საკითხთა განხილვის წესის შესახებ, რომლებიც არჩევითი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების წევრები არიან. შემოგვაქვს წინადადება დაწესდეს, რომ პირველადს პარტორგანიზაციას არ შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პარტიიდან კომუნისტის გარიცხვის შესახებ, თუ ის არის საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის, საოკრუგო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტის და რაიონული კომიტეტის წევრი.

პარტიული კომიტეტის შემადგენლობიდან ან პარტიის წევრობიდან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის, საოკრუგო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტის, რაიონული კომიტეტის წევრის გარიცხვის საკითხი წყდება სათანადო კომიტეტის პლენუმზე, თუ პლენუმი ხმების ორი მესამედით ამას საჭიროდ მიიჩნევს.

წინადადება შემოგვაქვს ჩაიწეროს, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ან პარტიის წევრობიდან საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის გარიცხვის საკითხს წყვეტს პარტიის ყრილობა ან ყრილობათა შორის პერიოდში— საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხული ავტომატურად შეიცვლება ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატით იმ რიგით, რომელიც ყრილობის მიერ დადგენილია ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების არჩევნების დროს.

ეს დამატებანი მოწმობენ, რომ იზრდება ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არჩეულ პარტიის წევრთა პასუხისმგებლობა როგორც იმ კომუნისტების წინაშე, რომლებმაც ისინი აირჩიეს, ისე სათანადო პარტიული კომიტეტების წინაშე.

პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული სასჯელის სახით პარტიის ცალკეული წევრები გადაჰყავთ კანდიდატებად, მაგრამ ეს სასჯელი განსაზღვრული არ არის წესდების წესით. წინადადება შემოგვაქვს წესდებაში ჩაიწეროს, რომ აუცილებელ შემთხვევებში პარტორგანიზაციებს შეუძლიათ პარტიული სასჯელის სახით გადაიყვანონ პარტიის წევრი კანდიდატად ერთ წლამდე ვადით.

პარტიის წევრების უფლებათა შესახებ

ჩვენი პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრულად განხორციელებას. თავის შინაგან ცხოვრებაში კომუნისტური პარტია მტკიცედ ახამებს ცენტრალიზაციის პრინციპს ყველა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს არჩევითობასთან, მათს ანგარიშვალდებულებასა და ცვლადობასთან.

არსებულ წესდებაში პარტიის წევრების უფლებათა შესახებ პარაგრაფის პირველ პუნქტში ჩაწერილია, რომ პარტიის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის პრაქტიკული საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე თუ პარტიულ პრესაში.

იმის განსაზღვრა წესდებაში, რომ პარტიის წევრებს უფლება აქვთ თავისუფლად და საქმიანად განიხილონ პარტიული პოლიტიკის საკითხები, არის პარტიის თვითეული წევრის ხელშეუვალი უფლება, რომელიც გამომდინარეობს შინაპარტიული დემოკრატიიდან. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფორმულირება რამდენადმე კვეცავს და ზუსტად არ განსაზღვრავს პარტიის წევრთა უფლებებს, ზღუდავს მათ პარტიული პოლიტიკის პრაქტიკული საკითხების განხილვაში მონაწილეობით. ამიტომ წინადადებაა წესდების პარაგრაფი პარტიის წევრების უფლებათა შესახებ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე თუ პარტიულ პრესაში;

ბ) გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის რომელიც უნდა იყოს მუშაკი;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში;

დ) მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როცა გამოაქვთ გადაწყვეტილება მისი საქმიანობის თუ საქციელის შესახებ;

ე) მიმართოს ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე“.

(დასასრული იქნება)

დამთავრდა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დამთავრდა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი. საბოლოო სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუციები კორეის საკითხზე, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის მოძრაობის გაძლიერების შესახებ, ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევისათვის მხარდაჭერის შესახებ, ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ, ქალთა უფლებებისა და ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ, მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, რეზოლუციები კულტურული გაცვლისა და ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ, კონგრესის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რეზოლუცია იაპონიის საკითხზე, აგრეთვე რეზოლუცია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კავშირის კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია სუნ ძინ-ლინი.

კონგრესზე გამოქვეყნდა კონგრესის დამსწრე მეცნიერთა და ექიმთა ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც მათ დაგმეს ბაქტერიოლოგიური ომი, რასაც შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებს.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა დოქტორმა კიტჩლუმ, რომელმაც აღნიშნა კონგრესის წარმატებითი მუშაობა, და ხაზი გაუსვა, რომ ყველა გადაწყვეტილება კონგრესის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კავშირის კომიტეტის შემადგენლობა

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის საბოლოო სხდომაზე დამტკიცდა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კავშირის კომიტეტის წევრთა შემადგენლობა. კომიტეტის თავმჯდომარე: სუნ ძინ-ლინი (ჩინეთი). თავმჯდომარის მოადგილეები: ი. ი. ანსიმოვი (სსრ კავშირი); ჯეიმს ენდიკოტი (კანადა); ნაზიმ ჰიქმეთი (თურქეთი); ვიქტორ ჯეიმსი (ავსტრალია); საიფუდინ კიტჩლევი (ინდოეთი); გო მო-ჟო (ჩინეთი); ძიციროო მაცუმოტო (იაპონია); პაბლო ნერუდა (ჩილე); პაკ დენ აი (კორეა); პოლ რობსონი (ამერიკის შეერთებული შტატები) და პირ სახაბ მანკი შერიფი (პაკისტანი).

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გამოაქვეყნა მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვის ტექსტი, რომელიც ერთსულოვნად მიღებულ იქნა 12 ოქტომბერს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის საბოლოო სხდომაზე. მიმართვაში ნათქვამია:

ჩვენ, 37 ქვეყნის 367 დელეგატი, რომლებიც კეთილი ნებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროში შევიკრიბეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესზე, რომლებიც სხვადასხვა ერსა და რასას ვეკუთვნით, სხვადასხვა რელიგიას ვაღიარებთ და რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება გვაქვს, მაგრამ გამოვხატავთ 1.600 მილიონი ადამიანის მტკიცე მისწრაფებას მშვიდობისადმი, ერთსულოვნად შევთანხმდით, რომ მშვიდობის უზრუნველყოფა და შენარჩუნება გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც უნდა შესრულდეს და შეიძლება შესრულდეს ყველას ერთობლივი ღონისძიებებით.

უკვე ორ წელიწადზე მეტია წარმოებს მტაცებლური ომი კორეაში. უსინდისოდ იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, ნაპალმის ბომბებს, ბარბაროსულ დაბომბვასა და მასობრივი მოსპობის სხვა მეთოდებს. სწვავენ და ანგრევენ მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს; საზარელ ბოროტმოქმედებას სჩადიან სრულიად უდანაშაულო ქალების, კაცებისა და ბავშვების მიმართ. ამ ომმა უკვე შეიწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, დაანგრია მრავალი ადამიანის ბედნიერება. შეერთებული შტატების მთავრობის მიერ უარის თქმა იმაზე, რომ მოხდეს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ხელს უშლის კორეაში დროებითი ზავის დადებას. ამერიკის სამხედრო სარდლობის მიერ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების ხშირი შეწყვეტა, ომის წარმოების უკანონო მეთოდების გამოყენება, ჩინეთის სუვერენიტეტის უხეშად დარღვევა პროვოკაციული აქტებია, რომლებიც ომის გაფართოების საფრთხეს ქმნიან.

ამავე დროს ვიეტნამში, მალაიასა და სხვა ქვეყნებში გრძელდება შეიარაღებული ინტერვენცია, რომლის მიზანია ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისადმი.

შეერთებული შტატების მთავრობის მიერ იაპონიის მილიტარიზმის აღდგენა, რაც არღვევს ცნობილ საერთაშორისო შეთანხმებებს, და რის მიზნიც არის იაპონიის გადაქცევა სამხედრო ბაზად აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ომის გასაჩაღებლად, ომის საფრთხეს უქმნის მთელ ამ რაიონს.

ამ რაიონის ბევრ ქვეყანაში ადგილი აქვს უცხოელთა ჩარევას იმ მიზნით, რომ ჩაახშონ ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. სამხედრო ბაზების შექმნისა და სამხედრო კავშირების თავსმოხვევის შედეგად ირღვევა ეროვნული სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ბევრი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს ძარცვავენ, ხოლო მათს ეკონომიკურ რესურსებს აგრესიული ომების გეგმების განხორციელებისათვის იყენებენ. იმ ქვეყნებში, რომლებსაც აიძულებენ აწარმოონ გამალებული შეიარაღება, მაღალი ფასები და ინფლაცია აჭვეითებს ხალხის ცხოვრების დონეს. ბლოკადები და ემბარგო ქმნიან დამატებითს სიძნელეებს, რომლებიც აუცილებლობით როდია გამოწვეული, დაზღვრგანიზაცია შეაქვთ ეკონომიკაში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღდგენილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ბევრ ქვეყანაში იძულებული ხდებიან შეამცირონ ღონისძიებანი კულტურის დარგში, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამის დარგში. აზიისა და წყნარი ოკეანის ბევრ ქვეყანაში უგულებელყოფენ ქალთა უფლებებსა და ბავშვთა კეთილდღეობას. ომის პოლიტიკა რომ გაამართლონ და ხელი შეუწყონ მის განხორციელებას, ცრუ პროპაგანდის საშუალებით აძლიერებენ ურთიერთუნდობლობას სხვადასხვა ქვეყანას შორის, ქადაგებენ რასისტულ თეორიებს და ყოველნაირად აღვივებენ უთანხმოებას ერებს შორის.

ომისათვის გაფთრებული მზადების მკვეთრი კონტრასტია მთელი მსოფლიოს ხალხთა მხურვალე მისწრაფება — შეწყვეტონ არსებული კონფლიქტები, რათა ის ენერგია და რესურსები, რაც სიცოცხლის მოსპობისათვის იხარჯება, მოახმარონ შემოქმედებითს მიზნებს, ცხოვრების გაუმჯობესებას, ხალხთა მისწრაფება, რომ კაცობრიობისთვის გარანტირებული იყოს მტკიცე მშვიდობა.

ხალხებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცხოელთა ბატონობაში არიან, შეგნებული აქვთ, რომ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა განუყრელად დაკავშირებულია ომის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომ ომისათვის მზადება ამაგრებს მათი მონობის ბორკილებს. ხალხები, რომელთა მთავრობები ომისათვის ემზადებიან, შიშსა და უიმედობაში ცხოვრობენ; ამ ხალხებს ესმით, რომ უშიროებასა და სტაბილობას ჰხოლოდ მშვიდობიანი განვითარების გზა უზრუნველყოფს. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მშვიდობიანი ეკონომიკური მშენებლობის ფართო გეგმები, მხურვალედ სურთ მშვიდობა ომისათვის, რომ განაგრძონ თავიანთი ხალხების ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანის განხორციელება.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხები მტკიცედ მისდევენ საერთო მიზანს, მათი მიზანია ბრძოლა ომის წინააღმდეგ და მშვიდობის დაცვა.

ჩვენ კვლავ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ქვეყნებს, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური სისტემა და ცხოვრების წესი აქვთ, შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა, შეუძლიათ ითანამშრომლონ საერთო კეთილდღეობისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. მტკიცე მშვიდობა რომ უზრუნველყოთ, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და დაუცხრომლად ვაწარმოოთ ბრძოლა.

ამ რაიონში და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საჭიროა:

დაუყოვნებლივ დამყარდეს მშვიდობა კორეაში სამართლიან და გონივრულ საფუძველზე, შეწყდეს ომები ვიეტნამში, მალაიასა და სხვა რაიონებში და გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები ამ რაიონებიდან.

შეწყდეს იაპონიის მილიტარიზმის აღდგენა; დაიდოს იაპონიასა და დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ნამდვილი საზავო ხელშეკრულება და შეიქმნას დამოუკიდებელი, დემოკრატიული, თავისუფალი და მშვიდობისმოყვარე ახალი იაპონია.

საჭიროა ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რომ ერთი ქვეყანა ერეკვა მეორე ქვეყნის სამინაო საქმეებში, ერთი ქვეყანა არღვევს მეორე ქვეყნის სუვერენიტეტს; საჭიროა ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა და მიღწევა;

ბრძოლა ბლოკადისა და ემბარგოს წინააღმდეგ, ხელის შეწყობა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობისათვის თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე;

ომის წაქეზების აკრძალვა, ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ქალების უფლებათა დაცვა და ბავშვებისათვის ბედნიერ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის მალე დადება. შეიარაღების შემცირება და ატომური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის, აგრეთვე მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გამოყენების აკრძალვა.

აზიაში, წყნარი ოკეანის აუზში და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება შეერთებული შტატების ხალხს.

საომარი აქციები და ომისათვის მზადება, რასაც შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ამ რაიონებში და დედამიწის სხვა ნაწილებში, დამღუპველია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხთათვის, აგრეთვე დამღუპველია მთელი მსოფლიოს ხალხთათვის. თუმცა ეს აქციები ხორციელდება შეერთებული შტატების ხალხის სახელით, ისინი არ შეესაბამებიან მის ნებასა და მის ინტერესებს.

ამიტომ შეერთებული შტატების ხალხის გადაუდებელი ამოცანა და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ბოლო მოუღოს თავისი მთავრობის ამ მოქმედებას და მშვიდობის გზით წაიყვანოს თავისი ქვეყანა.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესი მიესალმება შეერთებული შტატების ხალხს, რომელიც უაღრესად ძნიმე პირობებში ეწევა ბრძოლას მშვიდობისათვის. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი გააძლიერებს ბრძოლას მშვიდობისათვის და განამტკიცებს თავის ერთიანობას ამ ბრძოლაში. ჩვენ სრულ წარმატებას ვუსურვებთ მას ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულებაში და ვუშვდით მეგობრობის ხელს.

ჩვენ გვესმის, რომ იაპონიის ხალხი სასტიკად იტანჯება ამერიკელი ოკუპანტებისა და ხელისუფლების სათავეში მდგომი იაპონელი მილიტარისტების უღელქვეშ. ჩვენ ვიცით, რომ იაპონელი ხალხი აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სხვა ხალხებთან ერთად იბრძოლებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ იგი არ გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად. აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხები მხურვალედ დაუჭერენ მხარს იაპონელი ხალხის გმირულ ბრძოლას მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ და მეგობრობის ხელს ვაწვდით მას.

საზარელმა ბოროტმოქმედებამ, რაც თანამედროვე ომებში ხდება, შეგნება გაუღვიძა ყველა პატიოსან ქალსა და კაცს. მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი ელეტა, მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების უაზრო დანგრევა, საზარელი ბოროტმოქმედება ქალებისა და ბავშვების მიმართ თანამედროვე ომს აქცევს ტოტალური მოსპობის იარაღად. ეს გენოციდი და ყველაზე სასტიკი იარაღის გამოყენება, როგორიც კი ოდესმე გამოუგონია ადამიანს, ემუქრება სხვა ქვეყნებსა და ხალხებს. კულტურის საუკუნეობრივი მიღწევები რომ შეეინარჩუნოთ, ცხოვრება რომ არ გადაიქცეს პირუტყვულ ბრძოლად არსებობისათვის, ადამიანის ცხოვრებას ადამიანობის რაიმე ელემენტი რომ შერჩეს, საჭიროა ბოლო მოეღოს სისტემატიურ ომგიას კორეაში, ვიეტნამში, მალაიასა და სხვა ქვეყნებში. მსოფლიო ომის პერსპექტივა საფრთხეს უქმნის ყველა ქალს, მამაკაცსა და ბავშვს სიცოცხლეს. ამიტომ საერთო მოვალეობაა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის და შევაჩეროთ განუხრელი სვლა ომისაკენ. აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაუცხრომელი ბრძოლა აწარმოონ ომის ძალების წინააღმდეგ, ისინი დარწმუნებული არიან, რომ კეთილი ნების ყველა ადამიანის თანამშრომლობის გზით შეძლებენ თავიდან აიცილონ მოსალოდნელი კატასტროფა, გაფანტონ ომის შავი ღრუბლები და გაწმინდონ კაცობრიობის ჰორიზონტი, რათა ამბრწყინდეს საყოველთაო მეგობრობისა და მტკიცე მშვიდობის განთიადი.

პეკინი, 1952 წლის 12 ოქტომბერი.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესია

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 14 ოქტომბერს დილით ნიუ-იორკში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესია. პირველი სხდომა მიეძღვნა ჩვეულებრივ ოფიციალურ ცერემონიებს. სხდომა გახსნა გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის თავმჯდომარემ პადილია ნერვომ (მექსიკა). მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ქალაქ ნიუ-იორკის მერმა იმპოლიტერიმ, ამერიკის დელეგატმა უორენ ოსტინმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა და პადილია ნერვომ.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). მას შემდეგ